გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 7

ქ. აბაშა

~

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „ 4“ მარტი 2021 წელი.
ერთის მხრივ
აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების (მის. აბაშა უ. კაჭარავას №2 საინდიფიკაციო კოდი: 222450121, მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22;) დირექტორის დარეჯან ელიაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და
მეორეს მხრივ
ი/მ გიორგი ჟვანია (მის: ქ. აბაშა, თავისუფლების 68) საინდეტიფიკაციო კოდი: 02001024841; საბანკო რეკვიზიტები: მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი; ანგარიშის ნომერი GE39BG0000000161284433; ბანკის კოდი:BAGAGE22;) (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირექტორის გიორგი ჟვანია -ს სახით

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს გამარტივებული შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების ობიექტისა და კლასიფიკატორის კოდის დასახელება.

2.1 ააიპ აბაშის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისათვის თევზის შესყიდვა

2.2 **(CPV-15200000) - მზა და დაკონსერვებული თევზი**

- 15221000 - გაყინული თევზი (სკუმბრია)

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაო-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა
თევზი (სკუმბრია)	გაყინული თევზი, ერთი ძვლით ახალი, წარმოებული ცივი წყლის თევზისგან,გაყინული მშრალი წესით,არ უნდა იყოს გამღვალი და შემდეგ გაყინული,თითოეულ მიწოდებულ პარტიას უნდა ახლდეს საქონლის წარმოშობისა და ხარისხის სერთიფიკატი ქართულ ენაზე,თითოეული მიწოდებული პარტია უნდა იყოს ახალი.	176	8.5	1496	2021 წლის 30 ივნისამდე

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1496 (ერთიათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მ.შ. ტრანსპორტირების ხარჯს.

4. ხარისხი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს

4.2 საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.09. №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები"-ს მოთხოვნებს.

4.3 საკვები პროდუქტების ყოველი პარტია უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმატიული-ტექნიკურ დოკუმენტაციას, ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლებს.

4.4 საკვები პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმატივებს;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელმოწერიდან ეტაპობრივად თვეში ორჯერ სამუშაო საათებში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 საქონლის მიწოდებას შემსყიდველის მიერ დანართი №1 მითითებულ ტერიტორიაზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნის შესაბამისი საქონელი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 საქონლის მიწოდებისას მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსი წარმომადგენლებს შორის ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, მომწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

8.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

8.5 ანგარიშსწორების ადგილია ქ. აბაშა

8.6 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზააციისათვის.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით

10.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.01 %-ს, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა დადაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიწოდების ვადაა 2021 წლის 30 ივლისამდე

19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

აბაშის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი
და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება
საიდენტიფიკაციო კოდი 222450121
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: 747273459
ბანკის კოდი TRESGE22

დირექტორი: დარეჯან ელიაძე

NNLE ABASHA PRESCHOOL AND OUT OF SCHOOL EDUCATIONAL INSTITUTIONS UNION

Digitally signed by NNLE ABASHA PRESCHOOL AND OUT OF SCHOOL EDUCATIONAL INSTITUTIONS UNION
Date: 2021.03.04 10:52:56 +04'00'

ი/მ გიორგი ჟვანია
საინდეტიფიკაციო კოდი: 02001024841;
მიმღები ბანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. ნომერი GE39BG0000000161284433;

დირექტორი: გიორგი ჟვანია

	დანართი 1
საქონლის მიწოდება განხორციელდება გაერთიანების ფილიალებში, შემდეგ მისამართებზე:	
ბაღი	მისამართი
N1 ბაგა-ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, უ.კაჭარავას N5
გეზათის ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.გეზათი
მაიდნის ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.მაიდანი
სამიქაოს ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. სამიქაო
ძვ.აბაშის ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.ძვ.აბაშა
სეფიეთის ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.სეფიეთი
ქოლობნის ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.ქოლობანი
პ/მაისის ს/ბაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.პ/მაისი

გაუწყინარის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.გაუწყინარი
მარნის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.მარანი
ტყვირის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.ტყვირი
ნაესაკოვოს ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნაესაკოვო
ეწერის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.ეწერი
სუჯუნის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.სუჯუნა
ზანათის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ.ზანათი
ნორიოს ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო
ონტოფოს ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ონტოფო
წყემის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყემი
კეთილარის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. კეთილარი
მაცხოვრისკარის ს/ზაღი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაცხოვრისკარი